

დებულება

საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული
კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. საქართველოს რაგბის კავშირი - შემდგომში დებულებაში მოხსენებული როგორც სრკ ან კავშირი.
- 1.2. სრკ-ს წევრი სუბიექტის კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა გუნდი - შემდგომში კლუბი(გუნდი).
- 1.3. წინამდებარე დებულებით განსაზღვრულია 2022-2023 წლის სათამაშო სეზონში, სრკ-ს მიერ ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების წესი.
- 1.4. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებული 2022-2023 წლის სათამაშო სეზონის კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა სათამაშო სეზონის ვადები განისაზღვროს 2022 წლის სექტემბრიდან - 2023 წლის მაისის ჩათვლით (აღნიშნული ვადები შესაძლოა შეიცვალოს კონკრეტული შეჯიბრებ(ებ)ისთვის სრკ-ს საშეჯიბრო და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით).
- 1.5. შეჯიბრებები ტარდება, მსოფლიო რაგბის” თამაშის მოქმედი წესების, საქართველოს რაგბის კავშირის მიერ დამტკიცებული დებულებების/რეგულაციების და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. შეჯიბრებების ხელმძღვანელობა

- 2.1. შეჯიბრებების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს რაგბის კავშირი თავისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.
- 2.2. შეჯიბრებების ჩატარებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რაგბის კავშირის ოპერაციების დირექტორატი.

მუხლი 3. საქართველოს რაგბის კავშირის მიზნები და ამოცანები

- 3.1. კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ორგანიზება;
- 3.2. საქართველოში რაგბის თამაშის პოპულარიზაცია და განვითარება;
- 3.3. მორაგბეთა სათამაშო უნარების დონის ამაღლება;
- 3.4. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატთა გამოვლენა/შერჩევა;
- 3.5. სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში უძლიერესი გუნდების გამოვლენა.

მუხლი 4. მოთამაშეთა ლიცენზირება

- 4.1. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე ყველა მოთამაშე, რომელიც შეყვანილია კლუბის (გუნდის) მიერ საშეჯიბრო განაცხადში ექვემდებარება ლიცენზირებას.
- 4.2. მოთამაშეთა ლიცენზირება დაშვებულია მხოლოდ სრკ-ს მიერ დადგენილი წესით მოთამაშეთა რეგისტრაციის შემდეგ.
- 4.3. ლიცენზიის მოქმედების ვადა ერთი საშეჯიბრო სეზონია.
- 4.4. მოთამაშეთა ლიცენზიის გაცემის საფასური:
 - 4.4.1. კაცთა ლიგის კლუბისთვის (გუნდისთვის) შეადგენს 15 ლარს ერთ მოთამაშეზე.
 - 4.4.2. ჭაბუკთა ლიგის კლუბისთვის (გუნდისთვის) შეადგენს 5 ლარს ერთ მოთამაშეზე.

მუხლი 5. შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება და პირობები

- 5.1. შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება აქვს სრკ-ს წესდებით განსაზღვრულ სრკ-ს წევრ სუბიექტს რომელსაც გააჩნია შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა და რესურსი მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი დონის შეჯიბრებებში, აღიარებს საქართველოს რაგბის კავშირის წესდებს, მსოფლიო რაგბის და სრკ-ს მიერ დადგენილ მოქმედ რეგულაციებს და რაგბის კავშირში წარდგენილი განცხადებით აცხადებს მზადყოფნას წინამდებარე და სრკ-ს დებულებებით/რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების უპირობო შესრულებაზე.
- 5.2. ახალ კლუბს (გუნდს), რომელსაც სურვილი აქვს ჩაერთოს კაცთა და ჭაბუკთა შეჯიბრებებში, უფლება მიეცემათ ჩაერთონ მოცემული მომენტისთვის ყველაზე დაბალი რანგის შესაბამისი დონის შეჯიბრებიდან გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.
- 5.3. კლუბის (გუნდის) მიერ სრკ-ში წარმოდგენილი განცხადების (სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის შესახებ) წარდგენის შემდგომ, კლუბი (გუნდი) ვალდებულია სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი დონის შეჯიბრების ყველა დაგეგმილ მატჩში.
- 5.4. კლუბის(გუნდის), სრკ-ს მიერ ორგანიზებულ კონკრეტული დონის შეჯიბრებაში მონაწილეობის პირობები გაწერილია ამ დებულების შესაბამისი დანართებით.
- 5.5. კლუბები (გუნდები) შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის ვალდებული არიან რაგბის კავშირის საშეჯიბრო და ღონისძიებების მართვის სამსახურში წარმოადგინონ:
 - 5.5.1. სათანადო ფორმით შედგენილი განცხადება შესაბამისი დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის თაობაზე (იხ. დანართი #1). არაუგვიანეს მიმდინარე საშეჯიბრო სეზონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. განცხადებას თან უნდა ახლდეს კლუბის (გუნდის), როგორც იურიდიული პირის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერი მარეგისტრირებელი ორგანოს რეესტრიდან), კლუბის წესდება, საბანკო რეკვიზიტები, ფაქტობრივი მისამართი; ელექტრონული ფოსტის მისამართი. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების საშეჯიბრო სეზონის განმავლობაში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, კლუბი (გუნდი) ვალდებულია 10 დღის ვადაში შესაბამისი ცვლილება წერილობითი ფორმით წარმოადგინოს საშეჯიბრო კომიტეტში.

- 5.5.2. შეჯიბრებებში მონაწილეობის მსურველი კლუბის (გუნდის), სრკ-ს შესაბამისი რეგულაციით დადგენილი წესით, მოთამაშეების რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტები და დანართი #2 (ინფორმაცია კლუბზე).
- 5.5.3. განაცხადში მითითებულ თითოეულ მოთამაშეზე - ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო ფორმა 100 (რომელშიც უნდა შედიოდეს თერაპევტის კონსულტაცია, კარდიოლოგის კონსულტაცია, ეკგ).
- 5.5.4. საქართველოს ჩემპიონატის “დიდი-10”-ის, დუბლიორთა, პირველ და რეგიონალურ ლიგაში მონაწილე კლუბებს (გუნდებს) განაცხადში შეყვანილ მოთამაშეებთან უნდა ჰქონდეს გაფორმებული სრკ-ს მიერ დამტკიცებული წერილობითი ხელშეკრულება (კონტრაქტი - პროფესიონალი/მოყვარული) არანაკლებ ერთი საშეჯიბრო სეზონის ვადით.
- 5.6. ზემოაღნიშნული პუნქტების მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია კლუბი (გუნდი).
- 5.7. კაცთა და ჭაბუკთა ყველა დონის შეჯიბრებებში მორაგბეებს თამაშის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მორაგბის თამაშებს შორის დაცულია არანაკლებ 3-დღიანი ინტერვალი.
- 5.8. მოასპარეზე გუნდის უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან მატჩის დაწყების წინ, 30 წუთით ადრე ჩააბარონ მატჩის მეთვალყურეს გარკვევით შევსებული მატჩის განაცხადი მაქსიმუმ 23 მოთამაშეზე (ძირითადი და სათადარიგო) ლიცენზიებთან ერთად, სადაც პირველი ხაზის სათადარიგო მოთამაშეები უნდა იყოს გამოყოფილი სათამაშო პოზიციების მითითებით (ბრუჯი/კვაჭი).

მუხლი 6. მოთამაშეთა ასაკი

- 6.1. კლუბი (გუნდი) უფლებამოსილია საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ათამაშოს შემდეგი ასაკის მოთამაშეები:
- საქართველოს ჩემპიონატის კაცთა „დიდი 10“-ს ლიგა/I ლიგა/დუბლიორთა და რეგიონალური ლიგა - 18 წლის და 18 წელზე ზემოთ ასაკის მორაგბეები;
 - საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ა“ ლიგა - 17-18 წლის ჭაბუკები;
 - საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგა - 15-16 წლის ჭაბუკები;
 - კაცთა შვიდკაცა ტურნირი - 17 წლის და 17 წელზე ზემოთ ასაკის მორაგბეები.
- 6.2. ამ დებულების მიზნებისთვის, მოთამაშის ასაკი განისაზღვრება მისი დაბადების წლისა და მიმდინარე წლის სხვაობით, მიუხედავად იმისა თუ მიმდინარე წელს (1 იანვრიდან - 31 დეკემბრამდე პერიოდში) როდის შეუსრულდა/შეუსრულდება კონკრეტული ასაკი.
- 6.3. საქართველოს ჩემპიონატის “დიდი-10”-ის, დუბლიორთა, პირველ და რეგიონალურ ლიგაში, კლუბიდან (გუნდიდან) თამაშზე დაიშვება 17 წლის 1 მორაგბე. ამ შემთხვევაში კლუბი (გუნდი) ვალდებულია წარმოადგინოს ასეთი მოთამაშის მშობლის/მეურვის მიერ თამაშში მის მონაწილეობაზე გაცემული და ნოტარიალურად დამტკიცებული თანხმობა და ექიმის მიერ სპეციალური ნებართვა. ასეთ მორაგბეს შერკინებაში თამაშის უფლება არა აქვს. ასეთი მოთამაშეები კლუბის (გუნდის) მიერ წარმოდგენილ საშეჯიბრო განაცხადში უნდა იყვნენ გამოყოფილი.
- 6.4. საქართველოს ჩემპიონატის “დიდი-10”-ის, დუბლიორთა, პირველ და რეგიონალურ ლიგაში კლუბიდან (გუნდიდან) თამაშზე წარდგენილი 18 წლის შერკინების I ხაზის

მოთამაშე ვალდებულია წარმოადგინოს ამ მოთამაშის მშობლის/მეურვის მიერ თამაშში მის მონაწილეობაზე გაცემული და ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა და ექიმის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა, ასეთი მოთამაშეები კლუბის (გუნდის) მიერ წარმოდგენილ საშეჯიბრო განაცხადში უნდა იყვნენ გამოყოფილი.

მუხლი 7. მატჩის ჩატარების წესი

- 7.1. კაცთა და ჭაბუკთა ყველა დონის შეჯიბრებებში გუნდი არ დაიშვება მატჩზე თუკი იგი 12 ზე ნაკლებ მოთამაშეს გამოიყვანს კონკრეტულ თამაშზე.
- 7.2. მატჩის მსვლელობის დროს ტექნიკურ ზონაში დაიშვება გუნდის 4 წარმომადგენელი (2 წყლის მიმტანი, 1 ექიმი და 1 მწვრთნელი).
- 7.3. მასპინძელი გუნდი ვალდებულია:
 - 7.3.1. ჩაატაროს მატჩები საშეჯიბრო განაცხადში მითითებულ სტადიონებზე.
 - 7.3.2. უზრუნველყოს სათამაშო მოედნის და პერიმეტრის მზადყოფნა.
 - 7.3.3. სტადიონის დაცვასთან ერთობლივად, უზრუნველყოს მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება (კერძოდ - სათამაშო პერიმეტრის, მატჩში მონაწილე პირების გადაადგილების ზონის და გასახდელების დაცვა).
 - 7.3.4. თამაშის დაწყებამდე გადასცეს არანაკლებ 3 სათამაშო ბურთი მატჩის მეთვალყურეს, რომელიც მსაჯთან ერთად შეამოწმებს ბურთების შეჯიბრებასთან შესაბამისობას (მსოფლიო რაგბის სტანდარტით: 0.67-0.7 ატმოსფ.).
 - 7.3.5. თამაშის მსვლელობისას ჰყავდეს ბურთის მიმწოდებლები.

მუხლი 8. ეკიპირება

- 8.1. ჩემპიონატში მონაწილე ნებისმიერი გუნდი ვალდებულია იქონიოს ერთნაირი სათამაშო ფორმა (23 კაცზე დანომრილი მაისური 1-დან 23 ნომრის ჩათვლით, შორტი და გამაში) და განსხვავებული ფერის უმკლავებო მოსასხამი “ექიმის” და “წყლის მიმტანის” წარწერით.
- 8.2. სათამაშო ფორმის არჩევისას უპირატესობა ენიჭება სტუმარ გუნდს. სათამაშო ფერთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს მატჩის მთავარი მსაჯი.
- 8.3. სრკ-ს ეგიდით კაცთა “დიდი 10”-ში და I ლიგაში კლუბები (გუნდები) ვალდებულნი არიან ითამაშონ “ჟილბერტის” ფირმის ბურთით, ხოლო ყველა დანარჩენი ლიგების შეჯიბრებებში შეუძლიათ გამოიყენონ როგორც “ჟილბერტის”, ასევე “რაინოს”, „მაკრონის“ და „RAM“-ის ფირმის ბურთები.

მუხლი 9. შეჯიბრებების ჩატარების წესი

- 9.1. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში (გარდა შვიდკაცა რაგბის შეჯიბრებისა) მოქმედებს საცხრილო ქულათა მინიჭების შემდეგი წესი:
 - 9.1.1. გამარჯვებულ გუნდს სატურნირო ცხრილში ეწერება 4 საცხრილო ქულა;
 - 9.1.2. იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული გუნდი მოწინააღმდეგე გუნდს 3 ან მეტი ლელოს სხვაობით დაამარცხებს დაერიცხება +1 (“ბონუს”) ქულა (“შეტვეითი ბონუსი”);

- 9.1.3. მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ორივე გუნდს ეწერება 2-2 საცხრილო ქულა;
- 9.1.4. დამარცხებულ გუნდს სატურნირო ცხრილში ეწერება 0 საცხრილო ქულა;
- 9.1.5. იმ შემთხვევაში თუ დამარცხებული გუნდი თამაშს 7 ან ნაკლები ქულით წააგებს დაერიცხება +1 (“ბონუს”) ქულა (“დაცვითი ბონუსი”);
- 9.1.6. ბონუსური ქულების დარიცხვა მიუღებელია მხოლოდ ორი გუნდის ორმატჩიან “დუელში”, კერძოდ:
- “ა” ლიგის II ეტაპის (ფლეი-ოფის), ორ მატჩიან “დუელში”
 - “ბ” ლიგის “ფლეი-ოფის” მიღმა დარჩენილი გუნდების ორ მატჩიან “დუელში”
- 9.1.7. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ჩატარებულ ყველა დონის შეჯიბრში, რომელიმე კლუბის (გუნდების) შეჯიბრიდან მოხსნის შემთხვევაში, გუნდი ამოღებული იქნება შეჯიბრების ცხრილიდან და საშეჯიბრო ცხრილში მის ქვემოთ მყოფი გუნდები ამოიწვევენ ერთი პოზიციით ზემოთ, მოხსნილი გუნდის (გუნდების) ყველა ნათამაშებ მატჩებში დაფიქსირებული შედეგები ანულირდება.
- 9.2. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ჩატარებული ყველა სახის შეჯიბრში, ნებისმიერი მატჩის დროს, დოპინგ კონტროლის კომისიას უფლება აქვს ნებისმიერი კლუბის (გუნდის) მოთამაშეს, საკუთარი შეხედულებისამებრ ჩაუტაროს ტესტ-გამოკვლევა.
- 9.3. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების ჩატარების სისტემა განისაზღვრება წინამდებარე დებულების თანდართული დანართებით, რომლებიც წარმოადგენენ ამ დებულების ნაწილს:
- დანართი #1 - გუნდის განაცხადის ფორმა;
 - დანართი #2 - ინფორმაცია კლუბზე;
 - დანართი #3 - დიდი-10;
 - დანართი #4 - პირველი ლიგა;
 - დანართი #5 - დუბლიორთა (“ესპუართა”) ლიგა;
 - დანართი #6 - “რეგიონალური” II ლიგა;
 - დანართი #7 - შვიდკაცა რაგბის ლიგა;
 - დანართი #8 - ჭაბუკთა “ა” ლიგა;
 - დანართი #9 - ჭაბუკთა „ბ“ ლიგა;
 - დანართი #10 - დამატებით დროში შუთაუთის (პენლების) დებულება

მუხლი 10. მატჩების გადატანა და შეწყვეტა

- 10.1. მატჩის გადატანა ან შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგი მიზეზების გამო:
- 10.1.1. ფორს მაჟორი - დაბრკოლება/გარემოება რომლის დადგომის შემდეგ შეუძლებელი ხდება ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. ფორს მაჟორულ სიტუაციად ითვლება (და არ არის ლიმიტირებული): ბუნებრივი კატასტროფა (ხანძარი, მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა, უხვნალექიანობა და ა.შ), ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა (საომარი, ეპიდემიოლოგიური, მეტეოროლოგიური და სხვა) და/ან სხვა რაიმე გონივრული დაბრკოლება/გარემოება რომელიც შეუძლებელს ხდის ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.
- 10.1.2. ფორსმაჟორული სიტუაციის დროს თამაშის შეწყვეტის შემთხვევაში თუ კლუბების (გუნდების) ნათამაშევი დრო შეადგენს შესაბამისი შეჯიბრების მთლიანი სათამაშო

დროის 3/4-ს ან მეტს, ასეთ შემთხვევაში შეწყვეტილი თამაში არ გადაიდება და დაფიქსირდება თამაშის შეწყვეტისას არსებული ანგარიში.

- 10.1.3. იმ სათამაშო პირობების/გარემოებების დროს, როდესაც საშიშროება ექმნება თამაშის მონაწილეთა ჯანმრთელობას/უსაფრთხოებას მატჩის გადატანის/შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს მთავარი მსაჯი.
- 10.2. თამაშის დაწყების დაყოვნების შემთხვევაში მსაჯს უფლება აქვს არაუმეტეს 40 (ორმოცი) წუთით გადაწიოს თამაშის დაწყება.

მუხლი 11. მატჩის ოფიციალური პირები

- 11.1. რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული შესაბამისი დონის შეჯიბრებებს ემსახურება რაგბის კავშირის მიერ დანიშნული, მსაჯები, მეთვალყურეები და სხვა ოფიციალური პირები.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი, არაკეთილსინდისიერი მონაწილეობა

ჩემპიონატში

- 12.1. დიდი-10-ის ლიგის კლუბს I და რეგიონალურ ლიგაში არ შეიძლება ჰყავდეს გუნდი.
- 12.2. დაუშვებელია დიდი-10-ის ლიგაში მონაწილე კლუბმა I და რეგიონალურ ლიგაში მყოფ კლუბს (გუნდს) გაუწიოს ფინანსური დახმარება ან/და სხვა რაიმე სახის მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე ან/და მისი სახელით I და რეგიონალურ ლიგაში გამოიყვანოს გუნდი.
- 12.3. საქართველოს ჩემპიონატში შეჯიბრებებში მონაწილე 2 ან მეტ კლუბს არ შეიძლება ყავდეს ერთი და იგივე დამფუძნებელი.
- 12.4. საქართველოს ჩემპიონატის მომიჯნავე ლიგებში მონაწილე 2 ან მეტ გუნდს არ შეიძლება ჰყავდეს ერთი და იგივე მწვრთნელი.

მუხლი 13. სანქციები

- 13.1. ამ დებულებით გათვალისწინებული პირობების და წესების დარღვევებს, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული წესით, განიხილავს სრკ-ს სადისციპლინო სამსახური.

მუხლი 14. დაჯილდოვება

- 14.1. რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს გადაეცემათ თასი და ჩემპიონის მედლები, ხოლო II და III ადგილების მფლობელები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით.